ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო ღვდის ' ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...'

1991
ხამშაბათი
27
აგვისტო
№ 102 (10495)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

' გაზეთი გამოდის 1936 წლის 1 მარტიდან

# მოსკოვი პრეზიდენტ ბ. ელცინს, რსფსრ სახალხო დეპუტატთა საგანგებო სესიას

გილოცავთ გამარჯვებას. შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ რუსეთის ხდს რესპუბლიკის დემოკრატიულ ძალებს. გიცხადებთ თანაგრძნობას თავისუფლების დამცველთა დაღუპვის გამო.

პუტჩის პირველივე დღეს საქართველოში გამოგზავნეს იაზოვის მოადგილე არმიის გენერალი ვურავლიოვი, რომელმაც რამდენიმე ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს ხელმძღვანელობას და შეეცადა უხეშად ჩარეულიყო ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. სამხედროებმა კონტროლი დაუწესეს აეროპორტს, ვაგზლებს, ცდილობდნენ განეხორციელებინათ მანევრები.

საბჭოთა აფხაზეთის ცენტრისტულმა ძალებმა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ თვითმარქვია ხელისუფლებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი თვითმარქვია საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტს, მას აგრეთვე მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რაც გამოცხადებული იყო მათს გაზეთ „ცხოვრებაში“.

საქართველოს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ 20 აგვისტოს დასავლეთის ქვეყნებს მოუწოდა მხარი დაეჭირათ სსრ კავშირში ხალხის მიერ არჩეული ყველა პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის და აქტიურად დახმარებოდნენ სამხედრო აგრესიის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას—პრეზიდენტს და პარლამენტს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევიათ თავიანთი პოზიციებისთვის, არ უცვნიათ საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტი და მთლიანად უჭერდნენ და უჭერენ მხარს რუსეთის ხდს რესპუბლიკის პრეზიდენტს ელცინს და პარლამენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

თბილისი. 1991 წლის 22 აგვისტო.

# განცხადება

## მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის

საქართველოს რესპუბლიკა მთელ მსოფლიოსთან ერთად უსაზღვროდ გახარებულია მოსკოვის რეაქციული გადატრიალების ჩაშლით. როგორც პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, დემოკრატიამ კიდევ ერთხელ იზეიმა, რაც იმის ნიშანია, რომ საბჭოთა იმპერიაში შემავალ ხალხებს უნდათ, რომ ჰქონდეთ თავისთვის სასურველი მთავრობის არჩევის უფლება და შესაძლებლობა. სწორედ ეს მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ უნათებს გზას საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებს, რომელთაც თვითონ სურთ იყვნენ საკუთარი ბედ-იღბლის განმგებელნი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ცნობამ, რომელიც გაზეთ „ცხოვრების“ 21 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა, შეაშფოთა ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის კომიტეტის გადაწყვეტილებას, კომიტეტისას, რომელიც თურმე ძალზე შეუშფოთებია ქვეყანაში შექმნილ მძიმე კრიზისულ მდგომარეობას და აწუხებთ ქვეყნისა და ხალხის ბედი. რეჟიმის აღდგენა საქართველოში ოცნებად გაუხდია.

ტოტალიტარული რეჟიმის 70 წლიანი ბატონობა ხალხს ყელში ამოუვიდა. ამიტომ იყო, რომ 1990 წლის უზენაესი

# სამარცხვინო ალიანსი

## ანუ იმის შესახებ თუ როგორ მიყიდა ეშმაკს სული საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ

რაიონის ყველა პატიოსანი მშრომელი და მათ შორის ის კომუნისტებიც, რომელთაც ცოტაოდენი რწმენა მაინც ჰქონდათ შემორჩენილი პარტიის მიმართ. ახლა ისინიც დარწმუნდნენ როგორ მოხერხებულად ჰქონიათ მორგებული სიყალბისა და ორპირობის ნიღაბი საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ლიდერებს და მათი ნდობა მხოლოდ გულუბრყვილო, მიამიტ ადამიანებს თუ შეუძლიათ.

გაზეთ „ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული ზემოთ დასახელებულ დოკუმენტში უარყოფითად არის შეფასებული ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოში მიმდინარე პროცესები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და მის წევრებს ეყოთ გამბედაობა დღევანდელი ხელისუფლებისათვის ურცხვად გადაებრალებინა ყველა ის სიძნელეები, რომლებიც შექმნილია ეკონომიკის სფეროში. ცნობაში არაფერია თქმული იმის შესახებ, რომ ეს სიძნელეები სათავეს იღებს კომუნისტური რეჟიმის ბატონობის წლებიდან, რომ ეს მათ დაუტოვეს დღევანდელ ხელისუფლებას მოშლილი ეკონომიკა, გაპარტახებული სახალხო მეურნეობა.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ,—ნათქვამია ინფორმაციაში, — დროულად, მიზანშეწონილად მიაჩნია სსრ კავშირის მთელ რიგ რეგიონებში საგანგებო წესების შემოღება და საგანგებო კომიტეტის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება, რაც ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარების მოწესრიგებას და კანონიერების განმტკიცებას გამოიწვევს“. შემდეგ იქვე ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოუწოდებს რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს მხარი დაუჭირონ საგანგებო

საქართველოს კომუნისტებმა ფაქტიურად მხარი დაუჭირეს სსრ კავშირში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.

ხელისუფლების დამხობის ორგანიზატორთა მიერ შეთითხნილ მიმართვაში საბჭოთა ხალხისადმი ნათქვამია, რომ ქვეყნის შიგნით ზოგიერთ რეგიონებში შემოღებულ იქნება საგანგებო წესები. საინტერესოა, რას ფიქრობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, როცა მხარს უჭერდნენ უდღეური კომიტეტის გადაწყვეტილებას ქვეყნის შიგნით ზოგიერთ რეგიონში საგანგებო წესების შემოღებას. დაუჯერებელია ქართველ კომუნისტებს არ სცოდნოდათ თუ რა შედეგი მოყვებოდა ეგრეთწოდებულ ურჩ რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში საგანგებო წესის შემოღებას. ეს ხომ წინასწარ გამიზნული ლალატია ქართველი ერის მიმართ. საგანგებო წესების შემოღებით სასიკვდილო საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს. ბეწვზე ეკიდა ქართველი ერის მონაპოვარი. შურისძიების გრძნობით აღსავსე. მკვდრეთით აღმდგარი იმპერია სისხლის ღვრით ემუქრებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს, საცხებით საკმარისი იქნებოდა თუნდაც ერთი უმნიშვნელო პროვოკაციული გამოხტომა და ისეთი სისასტიკით გაუსწორდებოდნენ საქართველოს მოსახლეობას, რომ დავიწყებას მიეცემოდა 9 აპრილის ტრაგედია. (ს ისე შედარებისათვის, თორემ 9 აპრილის მძიმე დღეები სამარადისოდ შემორჩება საქართველოს მოსახლეობის მეხსიერებაში).

ვის აწყობდა საქართველოში საგანგებო წესების შემოღება თუ არა იმათ, ვინც წარსულის ნოსტალგიას შეუპყრია, ვისაც კომუნისტური, ტოტალიტარული

საბჭოს მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. საქართველოს მშრომელებმა თავისი ბედი ხალხის ნებით არჩეულ პარლამენტს მიანდო. კომუნისტები მიყუჩდნენ, პოზიცია დათმეს, ხალხის რისხვას მოერიდნენ. ხალხს ისე მოაჩვენეს თავი თითქოს ბედს შეურიგდნენ. მაგრამ როგორც კი მომენტი დადგა, ხმა აიმაღლეს. ეს მომენტი კი მაშინ დადგა, როცა ხუნტამ დროებით იგდო ძალაუფლება. ქართველმა კომუნისტებმა გულში დაგუბებული ბოღმა ვერ დამალეს, თავიანთი აღფრთოვანება იმით გამოხატეს რომ ქვეყანაში პირველებმა დაუჭირეს მხარი უდღეური თვითმარქვია ხელისუფალთა მიერ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში საგანგებო წესების შემოღებას. არაფრად ჩააგდეს ხალხის ნიერ არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს მთავრობის მიმართვის ის სიტყვები, რომელიც მოგვიწოდებდა არ აგვყოლოდით პროვოკაციებს და არ დაგვეშვა თვითნებური მოქმედება. სამწუხაროდ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა ბიურომ პირველმა, გადადგა პროვოკაციული ნაბიჯი დაუშვა თვითნებური მოქმედება და დაიკავა მოღალატე იუდას პოზიცია.

საქართველოს მშრომელებთან ერთად ყველა ჭეშმარიტი კეთილსინდისიერი ზუგდიდელი გმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოღალატურ საქმიანობას და მხარს უჭერს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ბატონ ვ. რაზმაძის გადაწყვეტილებას ყველა დამნაშავე პირების კანონის სრული შესაბამისობით დასჯის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის მიმართვა ზუგდიდელი ახალგაზრდობისადმი

დღეს, როდესაც საქართველო მტკიცედ დაადგა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სრული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის გზას, როცა მიმდინარეობს იმპერიული პოლიტიკური სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, სულ უფრო მეტად იგრძნობა ჩვენში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის საჭიროება საზოგადოების ფართო ფენებისათვის. სამწუხაროდ, ამ ფონზე უადრესად თვალშისაცემია სწორედ ამ ცოდნის დეფიციტი, რაც განპირობებულია ყალბი იდეოლოგიური დოგმების მარწუხებში ხანგრძლივი ყოფნით. უნიტარულმა, ტოტალიტარულმა სახელმწიფომ ახალგაზრდობა თითქმის გადააჩვია აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, თავისუფალ აზროვნებასა და მსჯელობას, დიალოგის წარმართვის კულტურას, რაც ასე საჭირო და აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის.

ამჟამად, როდესაც ჩვენი საზოგადოება თანდათან ძლევს მძიმე ტოტალიტარულ მემკვიდრეობას, ხდება სულიერი და მატერიალურ ფასეულობათა ახლებურად გააზრება, არსებითი მნიშვნელობა' ენიჭება საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის საზოგადოებრივი შეგნებისა და პოლიტიკური კულტურის ამაღლებას, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობებზე დაყრდნობით. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტა აქვს დასახული ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალურ ორგანიზაციას, რომლის მიზანია საზოგადოების ოქროს ფონდის—ახალგაზრდობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი დონის ამაღლება, მათი ფართოდ ჩაბმა მშობლიური ქალაქის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ჩვენ, ზუგდიდელი ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს მიგვაჩნია, რომ ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ახალგაზრდობის დასაქმების, ნარკომანიის და სხვა პრობლემების გადაწყვეტა მოხერხდება არა საქმისადმი ინერტიული მიდგომით არამედ თითოეული ახალგაზრდის აქტიური და შეგნებული მონაწილეობით ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სწორედ ამ და სხვა საკითხების გარშემო ასოციაცია იწვევს ქალაქისა და რაიონის ყველა ახალგაზრდას, საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება 30 აგვისტოს, 16 საათზე, რუსთაველის ქუჩა № 90-ში (ყოფილი საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობა).

იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს შეხვედრა საფუძველს ჩაუყრის ჩვენს მომავალ კონსტრუქტულ თანამშრომლობას. შეხვედრაზე ახალგაზრდობის გარდა ვიწვევთ ყველა იმ პიროვნებას, ვისაც სურს საქმიანი დახმარება გაგვიწიოს ხსენებული პრობლემების გადაჭრაში.

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია.

წერილი რედაქციას

# მე მოვუწოდებ...

ამ წერილს გწერთ შრომის ვეტერანი, კომუნისტური პარტიის წევრი (უფრო სწორად, ყოფილი წევრი) 1948 წლიდან, როგორც იტყვიან, ცხელ კვალზე და ვფიქრობ, რომ ამით გამოვხატავ არა მარტო პირად აღშფოთებას კომუნისტებისადმი (პირველ რიგში კი მათი ხელმძღვანელობისადმი), არამედ ამით გამოვხატავ ყველა იმ კომუნისტების აზრს, რომლებიც ჩემსავით მოაქამომდე კვლავ კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იყვნენ და არიან.

გეტყვით გულახდილად: მიუხედავად იმისა, რაც მოხდა ქვეყნის კომუნისტურ მოძრაობაში მე მაინც მჯეროდა, რომ კომუნისტები ჭეშმარიტად იტყოდნენ თავიანთ სიტყვას ეროვნული მოძრაობის განვითარებისათვის, ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამიტომ მე არ დამიტოვებია პარტიის რიგები, ამასთან ვთვლიდი, რომ ჩემს ასაკში (მე უკვე 70-ისა ვარ) კომპარტიის რიგებიდან გასვლა და სხვა პარტიაში შესვლა [illegible] თაღლითობა და გაიძვერობა (მე კი არც ერთი ვარ და არც მეორე). ყოველთვიურად, როგორც იტყვიან, აკურატულად დავდიოდი პარტიის საქალაქო კომიტეტში და ვიხდიდი საწევრო გადასახადს.

მაგრამ 21 აგვისტოს ტელევიზიით გადაცემულმა ცნობამ იმის თაობაზე, რომ საქართველოს „დამოუკიდებელი" (ვაი ასეთ დამოუკიდებლობას!) კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ხუნტას, საბოლოოდ დამიკარგა რწმენა კომუნისტური მოძრაობისადმი და საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ვტოვებ ამ პარტიას, ვტოვებ უკაცრავად და ცხვირპირში მიფურთხებით. მე მოვუწოდებ ყველა იმ კომუნისტს, რომლებიც ჩემსავით დღემდე კიდევ იყვნენ კომუნისტური იდეოლოგიისა და სტალინის ფენომენის გავლენის ქვეშ, გონს მოვიდნენ და თქვან თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა.

მოვითხოვ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები გადაცემულ იქნან პასუხისგებაში, და, საერთოდ, დაუყოვნებლივ აიკრძალოს კომუნისტური მოძრაობა და მოღვაწეობა ჩვენს რესპუბლიკაში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი მოტყუებული და იმედგაცრუებული „კომუნისტების".

კარლო ხორავა,
შრომის ვეტერანი, კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი 1948 წლიდან.

გამოხმაურება

# მართლაც საით წავსულვართ

თავს უფლებას მივცემ დავსვა ასეთი კითხვა:

პიროვნებას, რომელიც იყო ნამდვილი საბჭოური არჩევნების, აგრეთვე მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც პირველ შემთხვევაში არჩევნების ჩაშლის გამო ვერ გახდა დეპუტატი, ხოლო მეორედ სრული მარცხი განიცადა, აქვს თუ არა მორალური უფლება წეროს ასეთი ტონით. მხედველობაში გვაქვს 18 აგვისტოს გაზეთ „ოდიშში" გამოქვეყნებული წერილი—„სინამდვილეს ფარდა ეხდება, ანუ საით წავსულვართ".

სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს (მიზეზი ცენტრის ბლოკადისა და პროვოკაციებთან ერთად თითოეულ ჩვენთაგანში ვეძიოთ, რადგან პატრიოტები კამათში და სადღეგრძელოებში ვართ მხოლოდ) ნუ გამოიყენებთ ოპოზიციისათვის საჭირო ქულების დასაგროვებლად.

მე და თქვენ ქალბატონო ქეთევან და ჩვენნაირ ათასებს მიუხედავად იმისა ვართ თუ არა რომელიმე საზოგადოების თუ პარტიის წევრი, არა ვართ პოლიტიკოსები. ამიტომ ნუ წავუბლატინებით მიუწვდომელს, თორემ პოლიტიკანებს თ გვიძახებენ და მართლებიც იქნებიან. პოლიტიკა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს მივანდოთ, ვისაც ხელეწიფება, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ოპოზიციამ მოსახლეობასთან ერთად იზრუნოს არსებული პრობლემების მოგვარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ორივე მხარეს შეაქცევს ზურგს, სამწუხაროდ უკვე შეინიშნება გარდასულ დღეთა ნოსტალგია.

არ შემიძლია ერთ ტენდენციას არ გავუსვა ხაზი, ვინც აკრიტიკებს ბატონ ზვიად გამსახურდიას, იქვე ადიდებს სულმნათ მერაბ კოსტავას. როგორ შეიძლება აკრიტიკებდე ერთს და ადიდებდე მეორეს, როცა მათ ერთი იდეა, ერთი მიზანი აერთიანებდათ და სულიერ ქრისტეს მიერ ძმებს უწოდებდნენ ერთმანეთს. ასეთების კრიტიკას და ქებას ფასი არა აქვს, რადგან ცოცხალს აკრიტიკებენ შურის გამო და აწგარდაცვლილი ვერავის ეცილება. საინტერესოა მაგათი და მათთანთა დამოკიდებულება როგორი იქნებოდა ცოცხალი მერაბ კოსტავასადმი

გუშინდელი უსიტყვო მორჩილნი ძლიერთა ამა ქვეყნისა, დღეს...

მართლაც საით წავსულვართ.

ლოდო შეროზია.

ჩვენ და ზნეობა

# ორსახოვნების პარადოქსი

გვაოცებს ადამიანთა ორსახოვნება. ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება იყოს ბოროტიც და კეთილიც. კეთილი მეტადრე მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებისათვის წარსადგენ მის პორტრეტს.

რა არ ხდება თუნდაც ჩვენს ქუჩებსა და მოსახვევებში?

რამდენი ულვთოდ განწირული ახალგაზრდა, რამდენი უაზროდ დაღვრილი სისხლი. და მერე რისთვის? —ტყავის ქურთუკისთვის, უბრალო კინკლაობისთვის. ცხოვრების მიზან მოუძებნელი ახალგაზრდები ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობენ, ჩხუბის მიზეზის ძებნაში არიან. გამვლელს ან ასანთი არ აღმოაჩნდება, ან სიგარეტი და იწყება მერე დანების ტრიალი, რაც ხშირად შემზარავი შედეგებით მთავრდება

ადამიანის დემონურ ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. მაგრამ ეს დედაბუნება რაღას გვერჩოდა? —ცოდვების დროა და უფალმაც ხარკი უნდა აგვკრიფოს. დავიჯეროთ, ყველანი ცოდვილნი ვართ? ათ-ათი წმინდანი რომ ყოფილიყო თითო ქალაქში? ან თუნდაც თითო-თითო? ხომ შეიძლება რომელიმე ქალაქი სულ წმინდანებით იყოს სავსე? ყველა ქალაქი ხომ ერთ მთლიანობაში იწოდება საქართველოდ.

აქ კი, უკაცრავად, ბატონებო, რთულად არის საქმე! ჯგუფები, ფენები, კასტები, ფავორიტები, აუტსაიდერები, მომხრეები, მოწინააღმდეგენი, ერთგულნის მაკიცარნი, ორგულები, პირდაპირები, ქვეშქვეშანი. და მეტი რაღა უნდა ისიდ: [illegible] მტერს. ვოდის და ბოდის: კვანტით, კისრულით, შუა თუ გარე სარმით. და ეპა, ჩემო თვალსაჩინოვ, ცოტაღა გაკლია ჩაყლაპვას. ოდნავ გაბედული მოძრაობა კაცის თათისა და ოქროს თევზიც ამოყვანილია აქვარიუმიდან. რამდენი ხანია აქვარიუმის კედლებს ვეხლებით და კატის კლანჭებში მოხვედრაზე ნამდვილად არ ვოცნებობთ. ჩვენ გვენატრება ოკეანის უსაზღვროება, მისი დიდი ტალღები. სილაღის თვალუწვდენი სივრცე...

დავიხიოთ ისევ უკან. ნამეტანი ოცნებით არ გავერთოთ. სხვათა შორის, არც ზედმეტად მგზნებარე ტაშია აუცილებელი და არც მაღალფარდოვანი სადღეგრძელოები, რომლითაც ილოცებიან ნებისმიერი მიმართულების გზატკეცილზე გახსნილ სასადილო—რესტორნებში, რომლებზე აუცილებლად ეროვნული დროშაა აღმართული. მერე იქიდან გამოსული შეზარხოშებული მოქეიფენი ზედმეტი სითამამით მოახტებიან თავიანთი რკინის რაშებს და თესავენ გზებზე უბედურებებს, ცრემლს, შიშს

მიუხედავად საქვეყნო პირვარამისა, განა მოვიშალეთ ქორწილ-ქელეხების უგემოვნო პომპეზურობა? ჩვენეული სუფრებს რომ გადახედავ, უცხოურ ფირმათა მადის აღმძვრელი რეკლამები გაეხსენება. კი მაგრამ, ერთ ოჯახს ასეთი [illegible] პოლიტიკის [illegible] ხვავება [illegible], შეუძლია ერთ სუფრაზე. [illegible] პროდუქტები უხვად არის [illegible] [illegible] ცარიელ, ჩვენ [illegible] [illegible]? [illegible] ჯერ მიფიქრია: იქნებ სჯობდეს მთელი სუფრა იყოს ბუტაფორული და თანაბრად, უვახშმოდ ვიძინებდეთ ყველანი.

ქუჩაში რამდენი უცხოური მანქანა დადის. მათი უმრავლესობა დანაშაულებრივი ხერხით არის ნაშოვნი, არსებობენ ეგრეთწოდებული „გადაგდების" („მოტეხვა") სპეციალისტები. მათი სახელები ყველამ იცის. მაგრამ რატომღაც ისინი მართლმსაჯულებისაგან ხელუხლებელნი არიან. ეს ჩვენი სასტიკი და უზნეო სინამდვილის ერთერთი მაგალითია „მხოლოდ".

ამდაგვარ ანომალიებს ყველაზე უნდა ვებრძოდეთ. დღეს მართლმსაჯულების აქტიურ საქმიანობასთან ერთად ჭეშმარიტი მამულიშვილების სუსხიან პუბლიცისტიკასაც ბევრის გაკეთება შეუძლია. ტრიბუნა უნდა დაეთმოს მწერლობისა და ხელოვნების იმ ჯანსაღ ნაწილს, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ზნეობისთვის არ უღალატია და უფლებაც აქვს სხვათა დამოძღვრისა.

ღირსეულნო [illegible]. თქვენი ჯერია ზარების შემოკვრისა. იქნებ რამე გვეშველოს, იქნებ კაცი კაცად მოიქცეს და ქალი ქალად, იქნებ მართალია მოვქრისტიანდეთ და არა მხ[illegible]ად მწუხრის ზარების გაგონებაზე გაგვახსენდეს ღმერთი.

იქნებ ნებისმიერ დღეს, საკუთარი ცოდვის შეხსენებლად ძულწრფელად ავანთოთ თითო სანთელი, თორემ უზნეო საზოგადოების განთავისუფლება უფრო ტოტალური უზნეობის საფუძველი იქნება.

ნანა ეხვაია.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურაში

# ამერიკული თეთრი პეპელას გამოვლინებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის და რაიონის მცენარეთა სამსახურების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ქ. ზუგდიდში და რიგ განაპირა სოფლებში გამოვლინებულია ხეხილოვანი და სხვა კულტურების მეტად საშიში მავნებელი ამერიკული თეთრი პეპელა.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონში საკარანტინო მავნებლის ამერიკული თეთრი პეპელას გამოვლინებისა და არსებული კერების განადგურების მიზნით: 1. შეიქმნას შტაბი შემდეგი შემადგენლობით: ბატონები ზვიად კიტია — ქ. ზუგდიდის გამგებელი (თავმჯდომარე), სოსო ლაგვილავა — სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე (მოადგილე), წევრები: თორნიკე ქირია — მილიციის უფროსი, ზია ხუბულავა — ბუნების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია, კლიმენტი თოდუა — მცენარეთა დაცვის სადგურის უფროსი, ლერი გულუა — მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექციის ინსპექტორი, ი. კვარაცხელია, გ. უბირია — სანეპიდსადგურის უფროსები.

2. ქ. ზუგდიდის ტერიტორიაზე და სოფლებში: რუხი, ინგირი, ახალაბასთუმანი, ჭითაწყარი, ამერიკული თეთრი პეპელას აღმოჩენასთან დაკავშირებით გამოცხადდეს კარანტინი.

3. დაევალოს შტაბს ქ. ზუგდიდში და მიმდებარე სოფლებში ამერიკული თეთრი პეპელას კერების ლოკალიზაცია და ლიკვიდაცია, რისთვისაც ორგანიზაცია გაუწიოს ბრძოლის ღონისძიებების ჩატარებას ქალაქის ტერიტორიაზე ქუჩების კომიტეტებისა, ხოლო სოფლის ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელმძღვანელების მეშვეობით.

4. კატეგორიულად აიკრძალოს დაავადებული ადგილებიდან ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანა რაიონის მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორის შემოწმებისა და საკარანტინო სერთიფიკატის გარეშე.

5. ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის მილიციის განყოფილებამ (თ. ქირია) მკაცრი კონტროლი დააწესოს დაზიანებული ადგილებიდან ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანაზე, სათანადო დახმარება აღმოუჩინოს რაიონის მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

6. რაიონის მცენარეთა კარანტინის სახელმწიფო ინსპექტორმა და ზუგდიდის მცენარეთა დაცვის სადგურის უფროსმა (ლ. გულუა, კლ. თოდუა):

— უზრუნველყონ მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დამატებითი გამოკვლევების ჩატარება, ამასთან მეთოდური და პრაქტიკული ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ აგროპერსონალს;

— დააწესონ მკაცრი კონტროლი აღნიშნული მავნებლის კერებში ბრძოლის ღონისძიებების გატარებაზე, რისთვისაც დროულად მოამარაგონ მეურნეობები და საკარმიდამო ნაკვეთების მფლობელები საჭირო ბრძოლის საშუალებებით;

— უზრუნველყონ კონტროლი დაავადებული ადგილებიდან ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანაზე;

— ფართოდ გაშალონ აგროპროპაგანდა, პერიოდულად მოაწყონ რადიოსაუბრები, უზრუნველყონ მეურნეობები სათანადო პლაკატებით.

7. გაზეთმა „ოდიში" პერიოდულად გააშუქოს მასალები ამერიკული თეთრი პეპელას გამოვლინებისა და არსებული კერების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ;

8. რაიონის სოფლის და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანებამ (ს. ლაგვილავა) ყოველი კვირის ორშაბათს წარმოადგინოს ინფორმაცია პრეფექტურაში ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მიმდინარეობაზე.

9. კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქისა და რაიონის პრეფექტის მოადგილეს ბატონ პ. ჩუხუას.

ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის პრეფექტი:

თ. ქორქოლიანი.

დემოგრაფია — ჩვენი საზრუნავი!

მტერი იდითგან არა მხოლოდ ძალით, არა მხოლოდ ხმლით, არამედ დემოგრაფიული ომითაც გვიქმნიდა წინააღმდეგობებს, რაც დღემდე გრძელდება. უცხო ტომთა ასე სწრაფი მომრავლე-

## სიმღერა ნუ მოგშლოდეთ!

ბა ჩვენს ძირძველ მამულში და ზოგან ქართველთა უმცირესობაში აღმოჩენა ამ ომის გეგმაზომიერი შედეგია. რით, თუ არა მრავალშვილიანობით, დავუპირისპირდეთ ამ მოვლენას. ამიტომაც შვილთა სიმრავლე მუდამ საქებარი იყო ქართველი დედისთვის. ამ, ტრადიციაზე იზრდებოდნენ ახალგაზრდა დედები და დღესაც მრავალი მათგანი ამაყობს შვილთა სიმრავლით.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ახალაბასთუმნელი იონა და გოგუცა ქორჩუების ოჯახი, რომელთაც ხუთი შვილი აღზარდეს, ხუთივეს კაცთმოყვარეობა და შრომის სიყვარული ჩაუნერგეს. წუწუნი და უკმაყოფილება არ სჩვეოდათ ოჯახში, მცირეს სჯერდებოდნენ, შეხმატკბილებულად ირჯებოდნენ, რაც მთავარია, სიმღერა ახლდათ შეგზურად, სიმღერა უოლებდათ გარჯას. მღეროდა ოჯახის დიასახლისი გოგუცა, მეუღლე აწ განსვენებული იონა, ხშირად მოიკრავდით ყურს მათ შემოგარენში ხმატკბილ მეგრულ მელოდიებს, გაშვლელის გულისყურს რომ იპყრობდა.

ტრადიციულ ოჯახში აღზრდილ შვილებსაც მრავალშვილიანობა და სიმღერა დაებედათ.

ხუთ-ხუთ შვილს უზრდიან მამულს ვახტანგ და ანზორ ქორჩუებიც. ახლა შვილიშვილებს ახწავლის სიმღერას ბებია, ისინიც, თითქოს სიმღერისთვის დაიბადნენ, ძალზე სწრაფად ითვისებენ როგორც ხალხურ, ასევე თანამედროვე რთულ მელოდიებს.

დაიბადებიან თუ არა, სიმღერას იწყებენო — ამბობენ მათიზე მეზობლები.

გათხოვილი ქალიშვილებიც რომ ესტუმრებიან, ნამდვილი ზეიმია ქორჩუების ოჯახში. ხარობს ამაგდარი ბებია მემკვიდრეთა ხაკეთით, მათი სიმრავლით, ხარობს რომ მის ამაგს უკვალოდ არ ჩაუვლია.

— საოჯახო ანსამბლის შექმნა ხომ არ გიცდიათ? — ვეკითხებით გოგუცას.

— რა ვიცი, შვილო, როცა გვემღერებოდა, ვმღეროდით, ამაზე კი არ გვიფიქრია. აი, შვილიშვილებს კი ანსამბლში სურთ სიმღერა, რა ვიცი, რა გამოუვათ.

იქნებ, მუსიკის მოყვარულნი ამ ოჯახითაც დაინტერესდნენ და ცნობილ მომღერალ ოჯახებს ქორჩუების ანსამბლიც შეემატოს.

სიმღერა და შვილთა სიმრავლე ნუ მოშლოდეს ქართულ კერას!

მ. ტივაძე.

ეროვნული კალენდარი

1500 წელი სრულდება პეტრე იბერის გარდაცვალებიდან. საუკუნეებმა ვერაფერი დააკლო გენიალური ქართველი თეოლოგისა და ფილოსოფოსის, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებლის ნაზრევს.

მკითხველს ვთავაზობთ მცირე ფრაგმენტს ლევან სანიკიძის ნაშრომიდან — „წიგნი მოწამეთა".

## მსოფლიო დონის მოაზროვნე

მეხუთე საუკუნის დამდეგს ქართლის სამეფო ტახტი ეპყრა ბუზმარს. ხოლო კონსტანტინოპოლს, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე იჯდა თეოდოსი მეორე. კონსტანტინოპოლისა და მცხეთის სასახლენი განახლებული მეგობრობით იწყებდნენ ცხოვრებას.

მაგრამ სპარსეთი არ ისვენებდა. მეფე იეზდიგერდ პირველი შეშფოთებული იყო ქართველთა და ბიზანტიელთა კავშირმეგობრობის განახლებით. იგი მცხეთაში ელჩობას ელჩობაზე აგზავნიდა და დაჟინებით მოითხოვდა ბიზანტიასთან ურთიერთობის გაწყვეტას და სპარსეთთან მეგობრობის გაბმას. ერთ დღეს მან ბუზმარს გადაჰკრით შემოუთვალა: თუ მართლა სპარსეთის მეგობრობა გსურს, მძევლად შენი შვილი გამომიგზავნეო.

ბუზმარს ერთადერთი ძე ჰყავდა, სახელად მურვანოს. ყრმობითვე გასაოცარი ნიჭის მქონე, ცოდნისა და სწავლულობის დიდად მოყვარე ბუზმარი სპარსეთთან შერიგებას არ აპირებდა და შვილი მთებში გახიზნა.

თავის მხრივ კონსტანტინოპოლის სასახლის კარიც ძალიან შეუშფოთებია ქართლისადმი სპარსთა მომძლავრებას. ამიტომ იმპერატორმა თეოდოსიმაც აფრინა ეჯიბნი მცხეთაში და ბუზმარს შეუთვალა, შენი შვილი მე გამომიგზავნე კონსტანტინოპოლშიო.

ბოლოს, რაკი საშველი აღარ იყო, ქართულმა სამეფო კარმა გადაწყვიტა მურვანოსი ისევ ერთმორწმუნე ბიზანტიის კარზე გაეგზავნა...

დადიოდა კონსტანტინოპოლის ხრა — სასახლეებში, ტაძრებსა და ქუჩაბანდებში ქართველი უფლისწული, რომელსაც საუფლისწულო ტანსაცმელს შიგნით თხის ბალნიანი ტყავი ეცვა.

ტანი მაღლე აიყარა, ტანჯხოლანი გახდა, მაგრამ ფრიად გამხდარი და ფერგაცრეცილი დარჩა. მიწის ფერი ედო და ზეცის სინატიფე. სხეულით მიწაზე დაბიჯებდა და სულით ზეცას მიღმა მიილტვოდა.

კეისრის უახლოეს და ერთგულებს კარისკაცთა შორის კიდევ იყო ერთი ქართველი კაცი — მირდატ ლაზი, „შემკული ღვთისმოშიშობით და მორჩილებით, ზნეობით, რწმენით და თავმდაბლობით".

ერთ დღეს მირდატი და მურვანოსი შეითქვნენ და კონსტანტინოპოლიდან — ამ „გარყვნილი ბაბილონიდან" — გაქცევა და იერუსალიმად წასვლა გადაწყვიტეს. ღამით იდუმალ, ოქროს რქისა და ბოსფორის წყალსაყარში ნავი მოიხელთეს, ჩასხდნენ და თავი მისცეს ზღვასა და წყვდიადს. რამდენიმე დღე-ღამე ებრძოდნენ ზღვას, ბოლოს, როგორც იქნა კვლავ მრავალი ჭირთაძლევის შემდგომ, ჩააღწიეს წმინდა ქალაქად — იერუსალიმს.

მათი პირველი მასპინძელი შეიქნა ვინაც ბერი, სახელად პინინოს, რომელიც წარმომავლობით ყოფილა სამეფო გვარეულობისა, რამდენიმე დღე პინინოსის სავანეში დაჰყვეს ქართველებმა. მერე წავიდნენ და თაყვანი სცეს ქრისტეს საფლავს. აქედან ზეთისხილის მთის მონასტერში მივიდნენ და წარუდგნენ წინაძღვარ გერონტიოსს, რომელიც ცნობილი გამხდარიყო ქრისტესთვის ცრემლების ღვრის განსაკუთრებული სიუხვით. ამა ცრემლმათხევარი გერონტიოსის ხელდასხმით აღიკვეცნენ ბერად ქართველნი.

აღიკვეცნენ და ახალი სახელებით მოინათლნენ: მირდატს დაერქვა იოანე. მურვანოსს — პეტრე.

სამარადჟამო ისტორიაშიც დაივანეს ამ სახელებით: პეტრე იბერიელი, ანუ პეტრე ქართველი და იოანე ლაზი, ანუ იოანე ქართველი.

ამის შემდგომ კი გრძელდება პეტრე ქართველის გრანდიოზული სატაძრო მშენებლობანი მთელს პალესტინაში, სირიასა და ეგვიპტეში.

პეტრე ქართველის ღვაწლმა, სიწმინდემ, სიბრძნემ, სიწრფოებამ და სიქველემ დაიპყრო იმდროინდელი მსოფლიო უველას, საქრისტიანოს თუ საწარმართოს, მისი სახელი ეკერა პირზე. ხოლო თვითონ პეტრე ცდილობდა მხოლოდ ჩრდილში მდგარიყო და სააშკარაო-სათაყვანო სარბიელზე სულაც არ გამოჩენილიყო. აშენდა და თავის სახელს არ არქმევდა, კურნავდა და საკუთარ ნამკურნალევად არ მიიჩნევდა, ჰირნახული მოჰყავდა და თავისად არც იმას თვლიდა, წიგნებს წერდა და თავის ვინაობას არც წერილობითი ხელრთვით ამხელდა.

საოცარი ბედი დაჰყვა გენიალური ქართველი მოაზროვნის წიგნებს. იგი, ეს უბედობა, თვითონ ავტორმა „დაუბედა" თავის ქმნილებებს.

თხუთმეტი საუკუნე არავინ იცოდა ნამდვილი ავტორი. ერთ ხანს დიონისე არეოპაგელს მიაწერდნენ, პირველი საუკუნის ფილოსოფოს.

მერე მიხვდნენ, რომ წიგნები მეხუთე საუკუნეში ყოფილა დაწერილი და შეცდომა იმით „გაასწორეს", რომ დიონისეს წინ „ფსევდო" დაურთეს და ამგვარად, პირობითი ავტორობით, „ფსევდოდიონისე არეოპაგელის" სახელით, ასეული წლები ატარეს ნამდვილი ავტორის მიუგნებლად და მოუხსენიებლად.

ახლა ფსევდოარეოპაგიკულ თხზულებათა ავტორობის საიდუმლო სავსებით გახსნილია.

და მსოფლიოს წინაშე წარსდგა ჭეშმარიტი ავტორი: პეტრე იბერი.

[ ფეხბურთი

# მოგება გასვლით მატჩში

## 21 აგვისტო ქ. ხობი, ცენტრალური სტადიონი.

## „კოლხეთი“ (ხობი) — „ოდიში“ (ზუგდიდი). 1:4

შეხვედრა ძველ მეტოქეებს შორის მუდამ მიმდინარეობდა საინტერესოდ, მწვავედ და უკომპრომისოდ. თამაში დაიწყო საკმაოდ ჩქარ ტემპში, ინიციატივა ხელთ იგდეს ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა და უკვე მე-8 წუთზე ყიზილაშვილს და მე-11 წუთზე კირსენკოს ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტი კარის აღებისა: „კოლხეთი“ პასუხობს მწვავე შეტევით მე-17 წუთზე, როდესაც ე. გვასალიას გადაცემა კარის გასწვრივ პარტნიორებმა ვერ „ჩაჭკეტეს“, 24-ე წუთზე კი ბიგვავას გარღვევა უხეშად შეაჩერეს მეტოქეებმა თავიანთ საჯარიმოში, პენალტი ზუსტად გამოიყენა ყიზილაშვილმა 0:1. მალე ყიზილაშვილის რეიდი შეაჩერა „კოლხეთის“ მეკარემ ვ. ბერაძემ, ორიოდე წუთის შემდეგ ბიგვავა პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ვ. ბერაძემ ამჯერადაც იმარჯვა. მეორე ტაიმი მასპინძლებმა დაიწყეს მძლავრი შტურმით, მათი იერიშების უმეტესობა მიმდინარეობდა ცენტრით და მარცხენა ფრთით, 51-ე წუთზე კი პიმუშინის დარტყმის შემდეგ ზუგდიდელთა კარი გადაურჩა აშკარა გოლს. მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა შე'ლეს თამაშის გათანაბრება და ბოლოს თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. უნდა აღინიშნოს ბიგვავას და ყიზილაშვილის განსაკუთრებული აქტიურობა, მათ ამ თამაშში გამოსდიოდათ თითქმის ყველაფერი, 65-ე წუთზე ეს გამოიხატა ყიზილაშვილის მეორე გოლით — 0:2, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ „ოდიშის“ კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც ზუსტად გამოიყენა ხობელმა ზ. ლატარიამ. ამ გოლმა მასპინძელთა თამაშში გარდატეხა ვერ შეიტანა. პირიქით ზუგდიდელთა შეტევები სულ უფრო და უფრო მწვავე ხდებოდა. ძნელია ცალკეულ ფეხბურთელთა გამოყოფა, მაგრამ ბიგვავასთან და ყიზილაშვილთან ერთად უნდა აღინიშნოს მ. მალანიას განსაკუთრებული მონდომება (ისე კი ვფიქრობთ ეს მატჩი საუკეთესო იყო ბიგვავასთვის მიმდინარე წელს). 71-ე წუთზე მალანიამ და ყიზილაშვილმა გაითამაშეს ულამაზესი, პირდაპირ სასწავლო-საჩვენებელი კომბინაცია, მოხდა კი ეს ასე; მ. მალანიამ მიიღო ბურთი მოედნის შუაგულში, მიუახლოვდა საჯარიმოს, გაითამაშა „კედელი“ ყიზილაშვილთან, მიიღო საპასუხო გადაცემა და... პაუზა, ზუსტად იმდენი, რომ არ აღმოჩენილიყო თამაშგარე მდგომარეობაში. გასვლა მეკარესთან პირისპირ. კვლავ პაუზა და მეკარე მინდორზეა, ბურთი კი ცარიელ კარში, ყველაფერი შესრულდა ძალზე ოსტატურად, როგორც ვარჯიშზე — 1:3.

87-ე წუთზე მ. შეროზია უსვამს წერტილს ამ მეტად საინტერესო თამაშს. 4:1 ასე დაასრულეს მორიგი გასვლითი მატჩი ოდიშელებმა.

რომან გაბისონია,
ჩვენი კორ.

# კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჯე“

## გთავაზობთ

კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჯე“ იღებს მსურველებს, რომელთაც სურთ დაეუფლონ მსუბუქი ავტომანქანის მართვას, თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც დღის, ასევე საღამოს საათებში, მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა.

პრაქტიკული სწავლა მოეწყობა მსმენელთათვის სასურველ დროს, ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მ ს ნიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები მსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფსიქო“), და სამი ცალი სურათი 3X4.

საბუთები მიიღება 10 საათიდან 18 საათამდე. შაბათ-კვირის გარდა ყოველ დღეს.

სწავლის ქირის გადახდა შეიძლება, როგორც ნაღდ ანგარიშზე ასევე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. № 2, პოლიტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი 64.

ავტოსკოლა „მესაჯე“.

დედა რაისა, მეუღლე ტარიელი, შვილი ალიკა. დები: ლუნიკო, ანტალი, ძმები: რეზო, ენვერი, თენგიზი, რძლები: ლუარა, მზიური, მზია, ქეთო, როზა, მანონი, ფირუზა, სიძეები: პალიკო გადელია, რეზო თოდუა, რეზო გვასალია, თემური ყალიჩავა, რამაზი თოდუა, ბექანა ფაცია, მული ქუჩუჩა, მაზლები: ჯიული, როლანდი ცაავები. მამიდები ლუბა, თამარა. დეიდა ქიონია, ბიძიები: ძუკა ბიგვავა, გრიშა კალანდია. ბიცოლები ეთერი, ლუბა, დისშვილები დალი, გულნაზი, მანანა, იანგული გადელიები. ელგუჯა, მამუკა, გენური თოდუები. ძმისშვილები ფატიმა, გელა, ელმირა, რამაზი, იაგო, ლალი, რიტა, ლაშა ბიგვავები, დეიდაშვილები: მიშიკო, ოქროშა ჭაფანძეები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

მაგული ილიას ასულ ბიგვავა-ცაავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30, 31 აგვისტოს, დასაფლავება 1 სექტემბერს, გამოსვენება 5 საათზე, ქ. ზუგდიდი, გრიბოედოვის [illegible] 1 შესახვევი № 11.

შვილები: თინა, ლონდა, როინი. ძმა ბესარიონი, შვილიშვილები: რუსიკო ციმინტია, ბრიჯიტა, ედუარდი თირქიები. გელა, მერაბი ხასაიები. შვილისშვილისშვილები: ინესა, გიორგი. დავითი არკადოვები. რძლები: ლუნა ბოხუა, ნანა ლაჭავა, ეკატერინე ხასია. სიძეები: გვანჯი ციმინტია, ალიკო ხასაია, კონსტანტინე არკადოვი, ვახტანგ ბეჭვაია. ძმისშვილები: ეთერი, ანზორი, იზოლდა, ლუარა, გულნარა, ნათელა. დისშვილები: კარლო, ვერა კაკულიები ლამარა, ვაჟიკო, მედიკო, ზაური, ჯემალი ბიჭიები, მული ვარვარა შვილებით: არონი, შაქრო, ოთარი უჩანეიშვილები. მაზლი კაჯი შვილებით: თალიკო, ლელიკო, მზია, ბონდო და დაფენტი თირქიები იუწყებიან

პარასკევა მიქეს ასულ ფაჟავა-თირქიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 სექტემბერს. გამოსვენება ზუგდიდი. გორკის 8.

ზუგდიდის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივი თანაუგრძნობს ომარ ქარჩავას ოჯახს შვილის

ბადრი ომარის ძე ქარჩავას

გარდაცვალების გამო.

ძმა ლუდა, და ლეილა. შვილი ლალი მესხია. შვილიშვილები: კობა ლაშა როგავები, რძლები: კუკუშა არზიანი, ელისო მირგატია, მანანა არახამია, სიძეები: ვალიკო რაფავა, ნუგზარი გოგოხია, იური როგავა, მამუკა, ნარსია. ძმისშვილები: მერაბი, ნანი, ზურაბი ზარანდიები, დისშვილები: რომანი, შოთენა რაფავები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ტატიანა ალექსანდრეს ასულ ზარანდიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29, 30 აგვისტოს დაკრძალვა 31 აგვისტოს. ქ. ზუგდიდი, მარქსის მე-II ჩიხი № 5.

ქანა და ჯანიერ როგავები შვილებით მარინე, გულიკო, ნინო, მალხაზი, სიძეებით მერაბ მიქავა, თამაზ ნადარაია და ტარიელ ვილანტიათი იუწყებიან დეიდის

ხუტა ნიკოლოზის ასულ ჭანტურიას

გარდაცვალებას.

ახალი ოფლის საკრებულო და კოლმეურნეობის აპარატი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ბადრი ომარის ძე ქარჩავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## ზ. ა. ხუჭუა

ძნელია შეეგუო ახალგაზრდა კაცის, ჩინებული მოქალაქისა და სანიმუშო მუშაკის - ზურაბ ალექსანდრეს ძე ხუჭუას უდროო სიკვდილს.

დაიბადა 1946 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ მედაურში. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე. 1969 წელს მუშაობას იწყებს წითელწყაროს რაიონულ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში“. წლების მანძილზე კეთილსინდისიერად უმუშავნია სოხუმის სატვირთო ავტოსადგურში, ქარხანა „სოხუმხელსაწყოში“ ინჟინრად, ენგურჰესის მშენებლობის დირექციაში [illegible] უფროსის მოადგილედ, ამავე განყოფილების უფროსად, 1989 წლიდან იყო ზუგდიდის ელქსელის დირექტორის მოადგილედ.

... გვიჭირს მასთან განშორება. გულწრფელად დავტირით უანგარო, კეთილშობილ პიროვნებას, რომელმაც დაუვიწყარი კვალი დატოვა თითოეული ჩვენთაგანის გულში. ცრემლით და ტკივილით ვაცილებთ მარადისობისაკენ. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის ნათელ სულს.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
ა.ჭ. ჭანტურია.

შვილები: ლუარა, ზაური, მურმანი, რძლები სვეტლანა პაჭკორია, მზია ჯაჭველიანი, ნათელა მანია, და იმედა, ძმა რენო ჭანტურიები, შვილიშვილები: ბადრი, ელგუჯა, უჩა ფიფიები, ნანა, ირმა, ლაშა, ლევანი, კობა ჭანტურიები, შვილთაშვილიშვილები: სოსო ფიფია, სალომე, ზაალი ხარჩილავები, ხატია მამფორია, დისშვილები იდა, გულიდა, მიმოზა, იზა ზარანდიები, ჯანიერი, ლიანა, თამარი როგავები ძმისშვილები: ნონა, ქეთინო, მანანა, ნუკრი ჭანტურიები, დეიდა ნადია ბიჭია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ხუტა ნიკოლოზის ასულ ბარამია-ჭანტურიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 29, 30 აგვისტოს, დაკრძალვა 31 აგვისტოს 17 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი ქ. [illegible]დის (ყოფილი ლენინის) ქუჩა № 51-დან.

შვილები: გიგლა, ვაინა, მურმანი, ვარდიშა, ლუსია, ვენერა, ჟუჟუნა, გულნაზი არქანიები. ძმები: ტიხონი, ბიჭიკო, გუგული. დები: ლენა, ჟუნა კოდუები: მაზლი პიმენი არქანია, მაზლიშვილი ნანა არქანია. რძლები: ამინათი, გული, ლიანა, ლილი, ეთერი. სიძეები: ხუტა სიჭინავა, ალიკო კიკავა, მურთაზი ფხაკაძე. შვილიშვილები: არტური, არმენი, ნინო, ინგა, ირმა, კახა, ლაშა არქანიები. მერი, ინდო, დარეჯანი სიჭინავები. მარინე, ნატო, მაია, რომანი, ომარი, ნანა კიკავები. ბადრი, მერაბი, გოჩა ლატარიები, დათო, თეა, სოფო ფხაკაძეები. ძმისშვილები: ვიტალი, ნაირა, ბორისი, მალინა, სვეტა, ლალი კოდუები. დისშვილები: ლამარა, სერიოჟა, დემური გაბლაიები. ლიანა, ვაჟიკო, ლინერი ჯიჯონაიები. მამიდაშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

ტაფი (შურა) ალმასხანის ასულ კოდუა-არქანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 აგვისტოს გამოსვენება 31 აგვისტოს ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. 89, დაკრძალვა ძველ აბასთუმანში.

შრომისა და მომსახურეობის სფეროს კოოპერატორთა რაიონული გაერთიანების კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე გაერთიანების თანამშრომელს გული კვარაცხელიას დის

ვანდა ათანასეს ასულ კვარაცხელია-ცხონდიას

გარდაცვალების გამო.

იმედა ჭანტურია შვილები იდა, გულიდა, მიმოზა, იზა ოჯახებით იუწყებიან

ხუტა ნიკოლოზის ასულ ჭანტურიას

გარდაცვალებას.

31 აგვისტოს 18 საათზე ნათურმეს სასაფლაოზე დანიშნულია

ვლადიმერ ლავრენტის ძე თორდიას

სამოქალაქო პანაშვიდი.

შვილები: ვალიკო, ვან ჩქა შონიები. რძლები: ეთერი, თინა, ხუტა, ბაბუცა, ნანა, შვილიშვილები: მარინე, ვახტანგი, ზური, ხათუნა, გოჩა, სიძე ვიტალი გოგოხია. დისშვილები: ვერა, ლუბა ჩანგელიები, ძმისშვილები: ვარლამი, დამიანე, ნოე ქირიები, მაზლი მიშა შონია, მაზლიშვილები: გული, თინა, მერი, საშა, ლეო, ვაჟა, არდევან შონიები: მულიშვილები: ნუცა, შურა, გოგონა, მაჭუჭი, ქორდიკო, კოტე, ანზორი ხაბურზანიები, ვათა აბსანძე ოჯახებით იუწყებიან

ლიდია მალხაზის ასულ შეროზია-შონიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 29, 30 აგვისტოს, დაკრძალვა 31 აგვისტოს, დარჩელში.

მეუღლე გული. შვილები: მანანა, ნანი, ამირანი, ბექანა, დები: ნათელა, ენძელა, შვილიშვილები: თეა, თემური, თომა, ლაშა, ალიკა, თენგო, სიძეები: რეზო, ბონდო, დავითი, მზევარი, თენგიზი, ნუგზარი, რძლები: ნორა, ვენერა, მზია, ლალი, სიდედრი: ვენერა, ცოლისდა ნურა, მზახლები: სულიკო, გული, რომანი, ვანო, ლეილა, დისშვილები: როლანდი, მედიკო, ბელა, მერაბი, ბიცოლები: ოლგა, ბაბი. ბიძაშვილები: კისო, ნაირა, ლია, ეთო, გელა სხულუხიები, ჯუმბერი, ქოზე, ედიშერი ჯიქიები, მამიდაშვილები: რეზო, აბელი ნაროუშვილები, დეიდაშვილები ხურთქი, დინა ფირცხელავები ახლო ნათესავებით იუწყებიან

ამო (ამილახვარი) მიხეილის ძე სხულუხიას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 27, 28 აგვისტოს დაკრძალვა 29 აგვისტოს, 5 საათზე, ს. ცაცხვში.

შვილები: ლეო, ბოჩო, მარგო, იურა, ძმები: ფოხონია, ვაჟა, დები: ხუტა, ვალია, რძლები: ლუარა, გოგუცა, ნუცა, ნატო, ლალი, სიძეები იგორი ნანავა, ომარი ჩხიკვაძე, თენგიზი გავაშელიშვილი, გაგა ხარებავა, შვილიშვილები: მაყვალა მაკა, მადონა, ჯულეტი, დარიკო, დოდო, დათო როგავები, მამუკა, ბაჩო ნანავები ძმისშვილები, დისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ქსენია ფილიპეს ასულ ჯალაღონია-როგავას

გარდაცვალებას, პანაშვიდი 30, 31 აგვისტოს, გამოსვენება 1 სექტემბერს ოქტომბრისტების ქ. №4-დან, დაკრძალვა სოფ. ყულიშკარში.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 21 80, რედაქტორის მოადგილის 2 83 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23 07, ტირაჟი 6000 შეკ. № 4017